პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | კვირა, 5 აპრილი 1925 წ. | წელიწადი მეხუთე | ფასი 3 კაპ. თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 74 (772) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24 განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## საქართველოს საბჭოების მესამე ყრილობა.

დღეს იხსნება სრულიად საქართველოს მუშების, გლეხების და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოების მესამე ყრილობა. ერთი წელი გავიდა მეორე ყრილობიდან.

ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლებამ დიდი მუშაობა ჩაატარა მუშების და გლეხების ძალაუფლების განმტკიცების და სახალხო მეურნეობის აღორძინების საქმეში.

ცხოვრების ყველა დარგში ჩვენ ვხედავთ წინსვლას და წარმატებას.

გასულ წელთან შედარებით ჩვენი რესპუბლიკა მნიშვნელოვნად მოღონიერდა მატერიალურად და საბოლოოდ განმტკიცდა პოლიტიკურად. საბჭოთა ხელისუფლება გახდა მშრომელთა ფართე მასების ნამდვილ ჭეშმარიტ ხელისუფლებად. საუკეთესო მაგალითია წლევანდელი საბჭოთა არჩევნები, რომელიც იშვიათი აღფრთოვანებით და გაცხოველებით ჩატარდა.

არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს მუშების და გლეხების ფართე მასებმა. საერთო ზრდასთან და წინსვლელობასთან იზრდება მასების აქტივობაც და მოთხოვნილებანი. ყოველივე ამას სათანადო ანგარიში უნდა გაუწიოს მიმდინარე ყრილობამ. მან უნდა გადადგას საჭირო პრაქტიკული ნაბიჯები, რომ მასების ეს გამოღვიძებული ენერგია და აქტივობა ყოველ მხრივ გამოყენებული იქმნას საერთო აღმშენებლობაში. ამისათვის საჭიროა ადგილობრივ საბჭოების მუშაობის გაცხოველება გლეხთა აქტივის მასში ფართო მონაწილეობის საშუალებით.

მესამე ყრილობა ყოველივე ამას, რასაკვირველია, სათანადო ანგარიშს გაუწევს; ის გაუკეთებს ჯამს საბჭოთა მთავრობის წარსულ მუშაობას და დაისახავს ახალ ღონისძიებებს მუშების და გლეხების კავშირის მეტ განმტკიცების და სახალხო მეურნეობის შემდეგი განვითარების საქმეში.

ამ მხრივ მთავარი საკითხებია: სოფლის მეურნეობის აღდგენა, წარმოების ნაყოფიერების გადიდება, ხელისუფლების ქვედა აპარატების გაჯანსაღება და მათი მუშაობის გაცხოველება და ტერსისტემა. აი ის მთავარი საკითხები, რომლებიც უნდა გადიჭრას მესამე ყრილობის მიერ. ჩვენ აქ არ შევჩერდებით ყველა ამ საკითხების მნიშვნელობის გაშუქებაზე. მხოლოდ მოკლედ შევეხებით უკანასკნელს—ტერიტორიალურ სისტემას.

ეს ახალი საქმე საქართველოში წითელი ჯარის ტერიტორიალურ ანუ მილიციონურ საფუძვლებზე მოწყობა—არის მუშურ-გლეხური ს. ხელმწიფოს თავდაცვის საქმის საუკეთესო ფორმა.

მისი ნაყოფიერად გატარება შეიძლება მხოლოდ როგორც ხელისუფლების და ისე მშრომელთა მასების ამ საქმეში აქტიური ჩაბმით. დღემდი ადგილობრივი ხელისუფლებანი ვერ იჩენდენ ამ საქმეში საჭირო ინიციატივას, ენერგიას. მათ ვერ შესძლეს ტერსისტემის იდეების მოსახლეობისათვის ფართედ გაცნობა. ამიტომაც მესამე საბჭოთა ყრილობამ საჭიროა ამ გარემოებას მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება და თავის ავტორიტეტული დადგენილებით ამ მხრივ შეუქმნას ნორმალური პირობები ტერსისტემის წარმატებით გატარებას ცხოვრებაში.

საბჭოების მესამე ყრილობის წინაშე სდგანან მეტად დიდი მნიშვნელობის საკითხები, რომლებსაც საქართველოს მშრომელთა მასების წარმომადგენლები გადაჭრიან ისე, როგორც ამას მოითხოვს მუშების და გლეხების ინტერესები.

## ვერც დემონზი ვერ უშველის საქმეს.

საფრანგეთის მთავრობა დიდ ციებ-ცხელებაშია.

ამის მიზეზია მისი ფინანსების კატასტროფიული მდგომარეობა. რაც დღე მიდის ფრანკი (საფრანგეთის ფულის ნიშანია) მით უფრო ვარდება ძირს და ფასი ეკარგება. მარტო ათი დღის განმავლობაში 17—27 თებერვლამდე ის 3 პროც. დაეცა. თუ დღემდი მას რაიმე ფასი აქვს და ის შედარებით წელგამაგრებულია, ეს აიხსნება იმ ხელოვნური ზომების მიღებით, რომელსაც მიმართავს საფრანგეთის მთავრობა. დღემდი ამ უკანასკნელს ორი წყარო ჰქონდა ფრანკის გადასარჩენად. პირველი—გარეშე სესხი, მეორე—გადასახადების გადიდება წვრილ ბურჟუაზიაზე და მშრომელთა მასებზე. მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი. გარეშე სესხის შოვნასაც და მასების მოთმინებასაც.

იმ დროს, როცა საფრანგეთის მთავრობა ადიდებს თავის გასავალს, განსაკუთრებით სამხედრო ხარჯებს ის სრულიად არ ფიქრობს იმაზე, რომ საიდან უნდა დაფაროს ეს აუარება ხარჯები.

მას დიდი იმედი ჰქონდა ამერიკის, მაგრამ ამ უკანასკნელმა ძლიერ ეჭვის თვალით დაუწყო ცქერა ამ ბოლო ხანებში საფრანგეთს, რომელიც სრულიად არ ფიქრობს არც პროცენტების და არც ვალის გადახდაზე, ამ დროს კი ამერიკელების ჯიბის ხარჯზე ადიდებს თავის სამხედრო ძალებს. რაც შეეხება გადასახადებს მისი გადიდება შეუძლებელი ხდება, ვინაიდან მასები ცუდ მდგომარეობაში არიან და გადასახადის გადიდება გამოიწვევდა საფრანგეთის მთავრობისათვის არა სასურველ შედეგებს.

რაც შეეხება მსხვილ ბურჟუაზიას ის სრულიად არ ფიქრობს გადასახადების რაიმე ნაწილი მიიღოს თავის თავზე. გამოირკვა რომ 5/6 ნაწილი მოძრავი კაპიტალისა არ იხდის გადასახადს.

ყველაფერი ეს ცხადია ძირს უთხრის ფრანკს. განსაკუთრებით ცუდათაა ფრანკის მდგომარეობა დღეს. ახალი სესხის შოვნა გაქრდა და დადგა ჟამი პროცენტებისა და ვალების გადახდის. აქ ფრანკის დაღუპვა უეჭველია. მაგრამ როგორც სჩანს საფრანგეთის მთავრობა გულს არ იტეხს. მან გადააყენა ფინანსთა მინისტრი კლემენტელი და დანიშნა ახალი დემონზი. საფრანგეთის მთავრობას ჰგონია რომ დემონზი აღმოჩნდება იმ გენიალურ მკურნალად, რომელიც თავისი უებარი რეცეპტებით იხსნის სიკვდილისაგან მძიმედ დაავადმყოფებულ ფრანკს. ტყუილი იმედებია. ვერავითარი რეცეპტი ფრანკს ვერ იხსნის, ვინაიდან როგორც სთქვა ერთმა საფრანგეთის პროფესორ-ეკონომისტმა: „ფრანკის დაღუპვა რამოდენიმე დღის საქმეა".

ამრიგად ფრანკი იღუპება. ეს კი ცუდი ნიშანია საფრანგეთის ბურჟუაზიის ბატონობისათვის.

—ე.

## კიდევ „ცენზურის" შესახებ.

„წითელ არმიელის" მე-72-ტე №-ში მოთავსებულია მოწინავე წერილი „დაუშვებელი მოვლენა", საიდანაც ვგებულობთ, რომ ადგილი ქონია ნაწილებში მომუშავე პასუხისმგებელ ამხანაგების და თვით ორგანიზაციების მხრივ რედაქციაში გასაგზავნ წერილების გასინჯვას. გამსინჯველთა აზრით რედაქციაში გასაგზავნ წერილებს, ესაჭიროება წინასწარი ცენზურა და მხოლოთ მათი დასტურის შემდეგ შესაძლებელია გაგზავნა.

ჩვენ ხელთ არ გვაქვს საკმაო საბუთები იმის შესახებ, თუ რას უნდა მიეწეროს ასეთი ნაბიჯების გადადგმა ამა თუ იმ პირის და ორგანიზაციის მხრივ.

ეს იმას ამტკიცებს, რომ ისინი, რომლებიც ასეთ საშვალებას მიმართავენ პრესის მიმართ, უთუოდ გამოდიან პირადი ანგარიშებიდან და მათთვის საზოგადო საქმიანობა არაა ყურადღების ღირსი. თუ ეს ასე არ არის, მაშასადამე რათ უნდა ქონდეს ადგილი ასეთ მოვლენას? მაგრამ ნათქვამია „კვამლი უცეცხლოდ არ იქნებაო". უთუოდ ქონდა ადგილი რაიმე უარყოფითი მოვლენებს, რომელსაც ამჟღავნებს გაზეთის ფურცლებზედ ნაწილის პარტკორი, სამხკორი ან ახკორი. ეს კი რასაკვირველია არ მოსწონთ ზოგიერთებს და ესინი მიმართავენ ბარბაროსულ ზომებს, აწესებენ ძველ ფორმის „ცენზურას", რომლის წინააღმდეგ დიდი ხნის განმავლობაში იბრძოდა მუშათა კლასი. ჩვენ ვერ დაუშვებთ ასეთ მოქმედებას წითელი პრესის წინააღმდეგ.

ის ძირშივე უნდა იქნეს ჩაკლული.

ჩვენ არ გვეშინია ჩვენს] ნაკლულოვანებაზე ლაპარაკის და ამით საშუალებაც გვეძლევა მალე გავასწოროთ ჩვენი შეცდომები.

თუ ჩვენ ჩვენი დაუკვირებლობით ან და გამოუცდელობით რაიმე შეცდომებს უშვებთ და ამ შეცდომაზე ან უყურადღებობაზე მიგვითითებს სამხკორი ან და პარტკორი, ამისათვის ის მადლობის ღირსია და არა დაშინების. მაგრამ როგორც სჩანს, ეს ანბანური ჭეშმარიტება ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ იმ პირთ და ორგანიზაციებს, რომლებიც „ცენზურას" აწესებენ რედაქციაში გასაგზავნ წერილებზე და ამით საშვალებას უსპობენ წითელი პრესის კორესპონდენტებს ამხილონ ყოველივე დადებითი, თუ უარყოფითი მხარეები ნაწილის ცხოვრების. როგორ ჰგონიათ ჩვენ „ცენზორებს" რედაქცია ვერ გაიგებდა მათ საგმირო საქმეს? რას ფიქრობდენ, როდესაც ასეთ საქმეს ჩადიოდენ პარტკორების და სამხკორების მიმართ? რედაქციას უკვე საკმარისი საბუთები აქვს და კიდევაც გამოაქვეყნა ის. ვფიქრობთ, ამ საქმის გამორკვევას უნდა მიაქციოს ყურადღება სათანადო ორგანოებმა და აღნიშნული უმგვანო მოქმედება სამუდამოთ უნდა აღმოფხვრას. ამაზე მეტია წერა რადგან ვისაც ესმის პრესის დანიშნულება და მათი თანამშრომლების მოვალეობა ამ დარგში მისთვის ნათელია, თუ რა დანაშაულობაა პრესის მიმართ ასეთი ზომების მიღება, როგორც არის ცენზურის დაწესება სამხკორთა წერილებზედ.

ს. ლომიძე.

## ახალი რადიო ამბები

### ამერიკა მალე „ჩამოხტება ჯორიდან."

ამერიკის საქმიან წრეებში იზრდება ინტერესები საბჭოთა კავშირისადმი.

არაოფიციალური დაწესებულება, რომელიც გამოხატავს ამერიკის სავაჭრო წრეების ინტერესებს, ამ დღეებში შეუდგა საბჭოთა კავშირთან სხვადასხვა სახელმწიფოების მიერ დადებულ სავაჭრო ხელშეკრულებათა გადასინჯვას, რის შედეგად გამოტანილ იქნა დასკვნა, რომ სასარგებლო იქნება საბჭოთა კავშირთან შეთანხმება, თუ რომ ამერიკა გადაუხვევს თავის ტრადიციულ პოლიტიკას.

ეს არა--ოფიციალური აზრი მოასწავებს იმას, რომ ამერიკა მალე „ჩამოხტება ჯორიდან", რომელიც არ იცვლიდა ნაბიჯს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის მოგვარებისაკენ.

### საფრანგეთის ფინანსთა მინისტრის გადადგომა.

### ფინანსთა მინისტრად დაინიშნა დე-მონზი.

გავასის სააგენტოს ცნობით გადადგა საფრანგეთის ფინანსთა მინისტრი კლემანტელი.

მის ადგილზე დაინიშნა სენატორი დე-მონზი. მისი გადადგომის მიზეზად ასახელებენ იმას, რომ სენატმა უარყო ზომები ქაღალდის ფულის გადიდების შესახებ. კლემანტელი კი ქაღალდის ფულის გამოცემის გადიდების მომხრე იყო.

### რაც მოგივა დავითო, ყველა შენი თავითო.

ლიონის ბაზრობაზე საბჭოთა პავილიონში თეთრგვარდიელებმა დიდი უწესობა და აურ-ზაური გამოიწვიეს.

ამის გამო საფრანგეთის მთავრობამ გააძევა ისინი საფრანგეთის საზღვრებიდან.

### პოლონეთის უკრაინელები იბრძოლებენ „სრული დამოუკიდებლობის ლოზუნგით".

2 აპრილს სეიმის დისკუსიაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა უკრაინელი კომუნისტი პავლე ვასინჩუკი, რომელმაც სასტიკად გააკრიტიკა პოლონეთის მთავრობის პოლიტიკა ეროვნულ უმცირესობათა საკითხში.

ვასინჩუკმა განაცხადა:

„უკრაინელები იბრძოლებენ 'სრული დამოუკიდებლობის ლოზუნგით".

ამ სიტყვებმა აურ-ზაური გამოიწვია.

მემარჯვენეთა სკამებზე გაისმა ხმები: „მოღალატევ, შენ ხომ დაიფიცე პოლონეთის მთავრობის წინაშე".

დისკუსია გრძელდება.

# უჯრედების მდივანთა და აგიტპროპ-მომუშავეთა თათბირი.

## წითელი არმიის აღმზრდელობის ამოცანები.

**კავკასიის წ. დრ. არმიის სარდლის ამხ. კორკის მოხსენება.**

თუმცა გასული წლის განმავლობაში აღნიშნულ იქნა საორგანიზაციო ღონისძიებათა მთელი რიგი, მაინც ზოგი მათგანი კიდევ არ გატარებულა ცხოვრებაში სრულად. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სავსებით უნდა იქნას ასრულებული აღნიშნული ღონისძიებანი.



ამხ. კორკი აკეთებს მოხსენებას.

ამას გარდა ჩვენ უნდა მოვახდინოთ ზოგიერთი რეორგანიზაცია ნაციონალურ ნაწილებში, თუმცა ის არც იმდენად სერიოზულია და ეხება შტატის საკითხს.

**სამსახურის გავლა არმიაში.**

მეთაურ—პოლიტშემადგენლობის მიერ სამსახურის გავლის საკითხში გვაქვს უკვე მტკიცე დებულებები, შეტანილია საკმაო გარკვეულობა, მაგრამ წითელ არმიელთა შემადგენლობის შესახებ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის ამ მხრივ გასაკეთებელი. წითელ-არმიელთა მიერ სამსახურის გავლის წესი ამ წელში საბოლოოდ მოგვარდება. შემოდგომისთვის ჩვენ გვექნება კანონი სავალდებულო სამსახურის შესახებ, რომელიც შემდეგში გამოიხატება: სამსახური ვრცელდება საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა სათანადო კატეგორიაზე 19 წლის ჰასაკიდან 40 წლამდე.

სამსახური იყოფა ნამდვილ სამსახურად და სათადარიგოდ. 19 წლიდან 21 წლამდე სამსახურის ვადა ითვლება საწვევამდელო ვადათ.

ნამდვილი სამსახური კანონის გეგმის თანახმად შემოლებულ იქნება 5 წლით.

ნამდვილი სამსახური იყოფა: ძირითადში (კადრში) 2—დან 4 წლამდი.

ორ წლიანი ვადა იქნება ქვეითა, ნაწილში ცხენოსანში და სხვა.

3 წელი საჰაერო ფლოტში და 4 წელი საზღვაო ფლოტში.

ამის შემდეგ ნამდვილ სამსახურში მყოფნი გავლენ ხანგრძლივ შვებულებაში, რომელიც გრძელდება 1—დან 3 წლამდი, იმის და მიხედვით, თუ რამდენი ხანი დაჰყო წითელ არმიელმა ჯარის ნაწილის კადრში. და ბოლოს, ხანგრძლივ შვებულების დასრულების შემდეგ სამხედრო მოსამსახურე გადადის სათადარიგოდ.

ამ კანონში გათვალისწინებული იქნება წითელ-არმიელთა შეღავათები გაწვევის დროს. ჩვენ გვექნება სამი კატეგორიის შეღავათი: 1. როცა გამოწვეულს არ ჰყავს შრომის უნარის მქონე ოჯახის წევრები და მის მზრუნველობის ქვეშ იმყოფება 3 და მეტი შრომის უნარ მოკლებული, 2. როცა გამოწვეულს ჰყავს ერთი შრომის უნარს მოკლებული ოჯახის წევრი და, ბოლოს, 3. როცა გამოწვეულს ჰყავს 1 შრომის უნარის მქონე და რამოდენიმე შრომის უნარს მოკლებული ოჯახის წევრი.

**გაზაფხულზე გამოწვეულთა განთავისუფლება.**

1925 წელში განზრახულია გაშვებულ იქნან ხანგრძლივ შვებულებაში 1902 წელში დაბადებული და 1924 წლის გაზაფხულზე გამოწვეული წითელ-არმიელები.

ამრიგად 1924 წ. გაზაფხულზე გამოწვეული წითელ-არმიელი იმსახურებს წითელ არმიაში მხოლოდ წელიწად ნახევარს. შემოდგომის გამოწვეული კი—2 წელიწადს. ეს მოხდა იმიტომ, რომ წარსულ წლებში ჩვენ არ გვქონდა წესიერად დაყენებული არმიაში გაწვევის საკითხი.

მოკლე დროში ეს გამოსწორებულ იქნება. გასულ გაზაფხულზე გამოწვეულთა განთავისუფლებასთან დაკავშირებით ჩვენ ფართედ და გარკვეულად უნდა აუხსნათ წითელ არმელს, რისთვის იქნება განთავისუფლებული გაზაფხულზე გამოწვეულები, რომლებმაც იმსახურეს ჯარში მხოლოდ წელიწად ნახევარი.

**საბრძოლო მომზადება.**

საბრძოლო მომზადებაში ჩვენ უნდა ვიგულისხმოდ არა მარტო სამწყობრო, არამედ აღმზრდელობითი მუშაობაც.

წითელ არმიელის საბრძოლო მომზადებასთან ერთად ჩვენ უნდა გავაძლიეროთ მეთაურთა შემადგენლობის საბრძოლო მომზადებაც. ეს მნიშვნელოვანია, ვინაიდან უმცროს მეთაურებს და უფროს მეთაურთა ერთ ნაწილს არ გაუვლია სამოქალაქო ომის ქარტეხილში. ამას გარდა ჩვენ ფართედ უნდა ჩავაბათ პარტიული და უპარტიო მეთაურთა შემადგენლობა პოლიტმუშაობაში. მეთაურთა შემადგენლობა განზე არ უნდა იდგეს მუშაობის ამ დარგისაგან.

**დისციპლინა.**

იმის ნაცვლად, რომ დისციპლინის საკითხი პრაქტიკულად იქნას დაყენებული, ჩვენში ხშირად დიდი დრო იხარჯება სადისკუსიო მსჯელობაზე. საოლქო სამმართველოების უფროსთა თათბირზე ამხ. ფრუნზემ განაცხადა, რომ დროა შეწყვეტილ იქნას სადისკუსიო მსჯელობა; დისციპლინის საკითხი იმდენათ ნათელია, რომ საჭირო არ არის დისკუსია, ჩვენ პირდაპირ უნდა განვახორციელოდ და განვამტკიცოდ ის.

**სწავლება.**

ჩვენი მუშაობის მეთოდიურ მხარეს ნაკლი აქვს, მაგრამ სწავლების საერთო შთაბეჭდილება კარგია. სამწუხაროდ ეროვნულ ნაწილებში ძალიან ცოტაა და ზოგიერთ ნაწილებში სრულებით არ არის სახელმძღვანელოები სამშობლო ენაზე. უახლოესი ამოცანაა—მომარაგებულ იქნას ეროვნული ნაწილები წესდებებით ეროვნულ ენაზე.

საზაფხულო სწავლებას საფუძვლად დაედება ნორმალური გეგმა, რომელიც უკვე აქვთ ნაწილებს. საბანაკო სწავლება გათვალისწინებულია 4 თვით.

ჩვენში სხვა და სხვა პირობებია წვევამდელთა მომზადების საქმეში, რაიც აბრკოლებს მუშაობას. საქართველოში ჩვენ იძულებული შევიქენით უარგვეყო მწვევამდელთა მომზადება იმ ადგილებში, რომლებიც მოშორებულია სამოსწავლო პუნქტებზე 7 ვერსზე მეტი მანძილით.

შემოდგომაზე ჩატარდება ტერიტორიალური შეკრება. მუშაობის ამ სფეროში მიმდინარე წელს ჩვენ შევძლებთ მეტი გეგმიანობის შეტანას საქმეში და საერთო ღონისძიებით მივაღწევთ კარგ შედეგებს.

ამხ. კორკი დასასრულ აცხადებს, რომ განზრახულია უმაღლეს სასწავლებლების, მუშფაკების და მეორე საფეხურის სკოლების სამოსწავლო გეგმაში შეტანილ იქნას სამხედრო საგნები. შემდეგ ის ეხება არმიის სამეურნეო მდგომარეობას, რომელიც განუწყვეტლივ ძლიერდება.

„კრ. ვ."

# გლეხის ცენტრალურ სახლის გახსნა.

**გლეხის ცენტრალური სახლი.**

ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების მრავალ სხვა მიხწევათა შორის უნდა ჩაირიცხოს გლეხის ცენტრალური სახლის მოწყობა ჩვენი რესპუბლიკის ცენტრში ტფილისში.

დღეს მესამე საბჭოების ყრილობის დღეს 5 აპრილს გლეხის ცენტრალური სახლი უკვე მზათ არის ოფიციალურათ გახსნისათვის. სწორედ დღეიდანვე შეუდგებით ყველა იმ ამოცანების ცხოვრებაში გატარებას, რაც გლეხის ცენტრალურ სახლს აქვს დებულებით დაკისრებული.

**როგორაა მოწყობილი გლეხთა ცენტრალური სახლი.**

გლეხებისათვის სტუმრად მორთულია ზედა სართულში 28 ოთახი 65 კაცისათვის. შემდეგში ეს რიცხვი უფრო გადიდებულ იქნება.

მოწყობილია კარგად წითელი სასადილო, გლეხებისათვის საწოლი დღე და ღამეში 25-35. კ. სადილი და ვახშამი პურით კი 30 კაპ.

ცენტრალურ სახლში გახსნილია წიგნთსაცავი და სამკითხველო, სადაც არის ყველა ადგილობრივ ენებზე ჟურნალ გაზეთები და წიგნები.

საუბრებისათვის და მოხსე-



## გლეხის ცენტრალური სახლი

ნებებისათვის არსებობს ცალკე ოთახი, სადაც 17 მომაგრებული სპეციალისტები ჩამოსულ გლეხებთან აწარმოებენ საუბრებს და აკეთებენ მოხსენებებს სოფლის სამეურნეო ყველა დარგში—კოოპერაციაზე, საგადასახადო პოლიტიკაზე და სხ. სახლში მუშაობს ცნობათა — მიმწოდებელი ბიურო, სადაც სწარმოებს იურიდიული კონსულტაციის (რჩევა დარიგების) ცნობების მიწოდება იუსტიციის კომისარიატის განკარგულებით დამცველთა კოლეგიის წევრების მიერ მორიგეობით ყოველ დღე დილის 9-საათიდან, ნაშუადღევის 3-საათამდე. დღემდე სახლმა უკვე აღმოუჩინა სხვა და სხვა დახ. 250 კაცს.

სახლს აქვს მასალები ეზო, რომელსაც შეუძლია საჭიროების დროს მიიღოს 40-სულამდე მსხვილ-ფეხა საქონელი, წვრილ საქონელზე დღე და ღამეში 15 კაპიკის გადახდით.

გლეხების ქონების შესანახავად სრული უზრუნველყოფით არის საწყობი. გლეხის ცენტრალურ სახლის შენობაშივეა მოთავსებული სამ ოთახში ჩვენი გაზეთი „ახალი სოფლის" რედაქცია და კანტორა, რაც უადვილებს გაზეთის გამოწერას ჩამოსულ გლეხებს, სოფლებიც თავის მხრივ მიაწოდებენ რედაქციას საჭირ-ბოროტო კითხვებზე ყოველგვარ ცნობებს.

იქვე უნდა მოთავსდეს ორ ოთახში ურთიერთ დამხმარე ცენტრალური კომიტეტი, გლეხის ცენტრალური სახლის მუშაობასთან, კონტაქტის გამტკიცებისათვის.

ამ ჟამად ეწყობა აბანო და სადეზინფექციო კამერა. შესრულებულია მთელი მუშაობის 95 პროც. დღეს. აგრეთვე სამრეცხაო აბანო და დეზინფექცია უფასოდ იქნება.

შენობის პირველ სართულში მოწყობილია ორი ოთახი 15 საწოლით, რომელიც არის ეგრეთ წოდებული საიზოლაციო პუნქტი ჩამოსული გლეხებისათვის 24 საათის განმავლობაში ღამის გასათევი უფასოდ სანამ ის აბანოს და დეზინფექციას მიიღებდეს. ან და სანამდეს საქმეს გამოიწყობდეს ამავე ხნის განმავლობაში.

**სახლის მმართველობის აპარატი.**

სახლს სათავეში უდგია გამგეთ ამ სტრიქონების დამწერი მთელი აპარატი შესდგება ორი განყოფილებისაგან--1-ლი ადმინისტრატიული სამნეო განყოფილება გამგით. 2-რე კულტურული განმანათლებელი განყოფილება, რომლის გამგეობაც დაკისრებული აქვს აქ ამ სტრიქონების დამწერს. ცნობებისა და სტატისტიკური ქვე განყოფილების ჰყავს გამგე; მთელი შტატი სახლისა შესდგება 17 კაცისაგან, რაც მეტად მცირე რიცხვს წარმოადგენს იმ რთული ლოვალეობათა შესასრულებლათ, რაც სახლს დასახული აქვს მიზნათ.

სახლს უშუალო ხელმძღვანელობას უწევს საუწყებათაშორისო წარმომადგენელთაგან შემდგარი, ეგრედ წოდებული, „გ. ც. ს. საბჭო", რომლიდან გამოყოფილია სამი კაცისაგან შემდგარი პრეზიდიუმი, სადაც შედიან თვით საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ს. თოდრია და წევრები ხომერიკი, და ნასარიძე.

პოლიტიკურ და საერთოდ იდეურ ხელმძღვანელობას გლეხის ცენტრალურ სახლს უწევს ცეკას აგიტ-პროპის გამოყოფილი პარტკომისია, რომელშიც შედიან თვით აგიტპროპის გამგე ამხ. ვ. ბახტაძე, თბილისის კომიტეტის აგიტპროპის გამგე. ამხ. ასრიბეკოვი, ქალთა განყოფილების ცეკას ხელმძღვანელი ამხ. მარია ორახელაშვილი, გლეხის ცენტრალური სახლის გამგე ამხ. დ. ნასარიძე, პავლე საყვარელიძე და სხვა.

**სახლის მუშაობის მომავალი პერსპექტივები**

გლეხის ცენტრალურ სახლის მიზანს შეადგენს, რომ ქალაქის პერიფერიებში არსებული ბაკები ჩამოართვას კერძო პირთ და თვით აიღოს ხელში ჩამოსული გლეხების მოვლა და მათი ყოველი მხრივ პატრონობა. სახლს, დებულების მიხედვით, დაკისრებული აქვს გაუწიოს იდეური და ორგანიზაციული ხელმძღვანელობა ჩვენი რესპუბლიკის სხვა და სხვა მაზრებში უკვე არსებულ სახლებს, სადაც არ არსებობს ხელი შეუწყოს მათ დაარსებას. მიაწოდოს მათ ინფორმაციული ცნობები გლეხის ცენტრალური სახლის მუშაობის შესახებ, დებულებები სამაზრო გლეხის სახლებისა, ინსტრუქციები, პერიოდულად მართოს მოხსენებები სახლების მნიშვნელობის და მათი მიზნების შესახებ. აგრეთვე მოაწყოს ექსკურსიები და სხვა.

გლეხის ცენტრალური სახლის დიდ ნაკლს დღესვე შეადგენს ის, რომ მას უსახსრობის გამო არა აქვს კლუბი, სასოფლო-სამეურნეო კინო, მუზეუმი რაც აუცილებელი საჭირო დღესვე, რომ ჩვენი თათბირები და მოხსენებები ჩამოსულ გლეხებთან მეტი ნაყოფიერი იქნეს. მიღებულია საჭირო ზომები, რომ ეს ნაკლი რაც შეიძლება მალე იქნეს გასწორებული.

აგრეთვე სახლში საჭიროა მოეწყოს საამბულატორიო პუნქტი, ვინაიდან არის ისეთი შემთხვევები, რომ ავათ მყოფი გლეხებიც მოითხოვენ ჩვენგნით შესაფერ დახმარებას ადგილობრივ. დღემდი კი სახლი გახსნილი არ იყო ოფიციალურად, მაგრამ თავისი მუშაობა მან მაინც დაიწყო რამოდენიმე კვირის წინად. სახლის ადმინისტრაცია უკვე გრძნობს, რომ საცხოვრებელი ოთახების რიცხვი ცოტაა და ის აუცილებლად უნდა გადიდდეს, რასაც საკმაო თანხა სჭირია და არ არის, მაგრამ მიღებულია ზომები და იმედია სათანადო დახმარებას გაგვიწევენ ჩვენი ორგანოები.

დასასრულ სახლის სამმართველომ უნდა აღნიშნოს, რომ გარდა იმ ფინანსიურ და ეკონომიურ დახმარებისა, რომელიც გლეხთა ცენტრალურ სახლს აღმოუჩინეს პარტიულ და საბჭოთა—სამეურნეო ორგანოებმა, გლეხთა ცენტრალურ სახლის მოწყობაში დიდი მონაწილეობა მიიღეს უპარტო სპეცებმა და მთელმა რიგმა პასუხისმგებელ ამხანაგებისამ, რომელთა დაუღალავმა მუშაობამ მოგვცა დღეისათვის გლეხთა ცენტრალურ სახლის გახსნის საშუალება.

დ. ნასარიძე.




# სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა მე-4 ყრილობის რეზოლიუცია.

(ტერ-სისტემა და განათლების მუშაკთა ამოცანებზე)

მოვისმინეთ რა მოხსენება საქართველოს წითელი არმიის რევოლიუციონურ ტერ-საფუძვლებზე გადახალისების შესახებ და მასთან დაკავშირებით განათლების მუშაკთა ამოცანებზე, სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა ყრილობა აღნიშნავს:

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ გადადგმულია ფრიად მნიშვნელოვანი ნაბიჯი ტერ—სისტემის შემოღებით.

ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკები გარშემორტყმულია ბურჟუაზიულ სახელმწიფოებით, რომლებიც ყოველ შემთხვევის თანავე მზათ არიან თავს დაგვესხან და შეეცადონ საბჭოთა სახელმწიფოს მოსპობას.-

ერთად ერთი ძალა, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენს რესპუბლიკებს მტრების შემოსევისაგან არის წითელი—არმია, ამიტომ წითელი არმიის გაძლიერებაზე ზრუნვა ყოველი მშრომელი მოქალაქის უწმინდესი მოვალეობაა.-

ტერ—სისტემა საუკეთესო ფორმაა წითელი არმიის აღმშენებლობისა. დღეს როდესაც ჩვენი დიდი ყურადღება მიქცეულია ქვეყნის ეკონომიურად განვითარებისაკენ, ტერ—სისტემა ამცირებს ხარჯებს წითელ არმიაზე და ამით ხელს უწყობს მუშურ გლეხურ სახელმწიფოს სამეურნეო გაძლიერებას.

ტერიტორიალური დივიზიები წარმოადგენენ მტკიცეთ ჩამოყალიბებულ ეროვნულ ნაწილებს, რაც მეტად ნათელს ყოფს კომუნისტური პარტიის ეროვნულ პოლიტიკის სისწორეს და აღრმავებს საბჭოთა რესპუბლიკებში განსაკუთრებით ა. | კ. ფედერაციაზე მცხოვრებ ერთა ძმურ კავშირს.

დღეს კომუნისტური პარტია უმთავრეს ყურადღებას აქცევს სოფლად მუშაობას. ლოზუნგი „პირი სოფლისაკენ“ უპირველესათ მიზნათ ისახავს სოფლად კომპარტიის ირგვლივ აქტივის მომზადებას. აქ ტერიტორიალურ დივიზიას შეუძლია დიდი როლი ითამაშოს. ის გახდება სოფლად, საიდანაც თან და თანობით მოეფინება სოფელს გათვითცნობიერებული და დაწინაურებული გლეხობა. ამ რიგად ტერ—სისტემა წითელი არმიის გაძლიერებასთან და ქვეყნის ეკონომიურად აღორძინებასთან ერთად შესძლებს შეასრულოს კიდევ უდიდესი ამოცანა: მოსახლეობის მჭიდრო დაკავშირება სამხედრო ორგანიზაციებთან და სოფლად პოლიტიკურ აღმზრდელობითი მუშაობა.

ითვალისწინებს რა ყოველივე ამას სრულიად საქართველოს განათლების **მუშაკთა 4-ხე ყრილობა ადგენს**: 1) დაევალოს კავშირის წევრებს და ორგანოებს ყრილობის დამთავრების თანავე შეუდგენ ტერ—სისტემის მნიშვნელობის მოსახლეობისადმი გაცნობას, ხელი შეუწყონ სამხედრო ნაწილებს, როგორც მოსამზადებელ, აგრეთვე შეკრების დროს გასატარებელ მუშაობაში.

2) ყოველი ღონისძიება იხმარონ, რათა ახლო მომავალში მოისპოს წერა—კითხვის უცოდინარობა ცვალებად შემადგენლობის შორის.

3) მთელი თავისი ენერგიით დაეხმარონ მეთაურებს და პოლიტ-მომუშავეებს ტერ—არმიელთა და მოსახლეობის შორის პოლიტიკურ განმანათლებელ მუშაობის გაწევაში.

4) მცხოვრებთა სამხედრო საქმესთან დაახლოვების მიზნით ხელი შეუწყონ ყველა მუშათა კლუბებში და ქოხ—სამკითხველოებში სამხედრო კუთხეების დაარსებას და აღმოუჩინონ ყოველ გვარი დახმარება მათ მუშაობას.-

5) ყრილობა ავალებს განათლების მუშაკთა კავშირის ყველა ორგანოებს, ზემო აღნიშნულ ამოცანების ცხოვრებაში გატარების მიზნით მჭიდროთ დაუკავშირდენ სამხედრო ნაწილებს.

ყრილობა ითვალისწინებს რა წითელი არმიის წარსულ გმირულ ისტორიას ღრმად დარწმუნებულია, რომ ახალ სისტემაზე გადასვლით მისი რიგები უფრო განმტკიცდებიან და ყოველ დროს იქნებიან საერთაშორისო მუშათა კლასის და აღმოსავლეთის დაჩაგრულ ერების მოსარჩლეთ და ცხოველ მყოფელ იმედათ.-

# პარტიული ცხოვრება.

## მეტი ყურადღება სადელეგატო კრებებს.

სამოქალაქო ორგანიზაციებთან კავშირის საკითხი წარმოადგენს ერთ ერთ ამოცანას ჩვენი დივიზიის პარტორგანიზაციისთვის.

ეს კავშირი ხორციელდება სხვა და სხვა საშუალებებით.

ამის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს რაიონების სადელეგატო პარტიული კრებები, სადაც დელეგატებათ არიან არჩეული აგრეთვე სამხედრო კომუჯრედებისაგან. მხოლოდ საქმე დელეგატების არჩევით კი არ თავდება, არამედ ამ დელეგატებმა უნდა შეასრულონ მათზე პარტიისაგან დაკისრებული დავალებები.

რას ვხედავთ ჩვენ სინამდვილეში? ამას წინეთ იყო მოწვეული თფილისის პარტორგანიზაციის მე-4 რაიონულ კომიტეტის სადელეგატო კრება, სადაც მე-4 რაიონში მდგომ დივიზიის კომუჯრედებისგან დაესწრო მხოლოდ ერთი ამხანაგი, უნდა დასწრებოდა არა ნაკლებ ათისა. შეიძლება ზოგ კომუჯრედებს სრულიად არ ყავთ არჩეული დელეგატები, რაც უსათუოდ დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან პოლიტგანყოფილების მიერ ამის შესახებ დაგზავნილი იყო სათანადო ცირკულიარი.

სხვა მიზეზები სამხედრო დელეგატების დაუსწრებლობისა ჩვენ უნდა ვეძიოთ თვით არჩეულ დელეგატების დაუდევრობაში, რისთვისაც უნდა იქნეს კომუჯრედის მიერ მიღებული სათანადო ზომები. სადელეგატო კრებებზე ირჩევა ბევრი ფრიად მნიშვნელოვანი კითხვები.

ეს ერთგვარი სკოლაა პარტიული მუშაობის შესწავლის და პარტიულ მასის აქტიურ მუშაობაში ჩაბმისათვის.

ამიტომ საჭიროა რომ ყველა უჯრედებმა გამოჰყონ დელეგატები და ამავე დროს თვალი ადევნონ, რომ არჩეულ ამხანაგებმა შეასრულონ თავისი დავალება.

მეტი ყურადღება სადელეგატო კრებებს.

ი. რ—სკი.

## ვინც ყოველთვიურათ გაზეთ „წითელ არმიელს“ და ვიწვევ ქვემოდ აღნიშნულ ამხანაგებს:

1. აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ლაკობას.

2. აფხაზ. საოლქო კომიტეტის მდივანს ამხ. კალატოზოვს.

3. აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ხიმშიაშვილს.

4. აჭარ. საოლქო კომიტეტის მდივანს ამხ. თენგიზ ჟღენტს

5. ქუთაისის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. დათიკო ლორთქიფანიძეს.

6. ქუთ. მაზრის პარტ. კომიტეტის მდივანს ამხ. ტყაბლაძეს.

7. ქუთ. სამაზრო პროფბიუროს მდივანს ამხ. კომახიძეს.

8. შორაპნის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ალექს. ვაშაძეს,

9. შორაპნის მაზრის პარტ. კომიტეტის მდივანს ამხ. გობეჯიშვილს.

10. რაჭის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. პარმენ წულუკიძეს.

11. გორის მაზრის აღმ. თავმჯდომარეს ამხ. ვასო ქურდაძეს.

12. გორის მაზრის აღმასკომის კომუნალურ მეურნეობის გამგეს ამხ. ცხოვრებაშვილს.

13. გორის მაზრის პარტ. კომიტეტის საორგ. განყ. გამგეს ამხ. ქებაძეს.

14. გორის მაზრის პარტკომიტეტის ინსტრუქტორს ამხ. იოსებ ნანაძეს.

15. ხაშურის რაიკომის მდივანს ამხ. ვანო მურდალაშვილს.

16. სიღნაღის მაზრის პარტიულ კომიტეტის მდივანს ამხ. ვარამაშვილს.

17. თელავის მაზრის პარტ. კომიტეტის მდივანს ამხ. ელისაბედაშვილს.

ქალაქ ტფილისიდან:

18. 1 რაიკომის მდივანს ამხ. ლადო ქავთარაძეს

19. ამავე რაიკომის საორგან. განყ. გამგეს ამხ. გუდავაძეს.

20. მე 2 რაიკომის მდივანს ამხ. მელაძეს

21. ამავე რაიკომის საორ. განყ. გამგეს ამხ. არტემ წითლიძეს

22. მე-3 რაიკომის საორგანიზ. განყ. გამგეს ამხ. გ. პირალოვს

23. მე-4 რაიკომის მდივანს ამხ. გიორგი სტურუას.

24. თბილისის კომიტეტის მდივანს ამხ. სვანიძეს

25. საქ. კომპარტიას ც. კ საორგანიზ. განყ. უფროსს ამხ. არჩილ გიორგაძეს

2 ქართ. დივიზიის სამხედრო კომისარი

გ. მარკაროვი.

## ვინ იქნება შემდეგი?

ვიწერ გაზ. „წითელ არმიელი“-ს ორ ეგზემპლიარს ს. ვანის სამკითხველოსათვის და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს, რათა მათაც გამოუწერონ თავიანთ სოფლებს გაზ. „წითელი არმიელი“.

1. მე-2 დ. საკავშირო ასეულის თავს ამხ. პაზუშკოს.
2. ამავე ასეულის სამხკომს ამხ. ჩხიკვიშვილს.
3. მნეს და მწყობრის თავებს: კვანტალიანს, ადამიას და ფაცაციას.
4. კურსანტ მესხს.

ნიკოლოზ კონ. გიორგაძე.

## 2-რე ასეულის კომუჯრედის კრება.

28 მარტს მეთაურთა სამხედრო სკოლის მე-2 ასეულში შესდგა უჯრედის ბიუროკოლექტივის კრება, რომელსაც დაესწრენ პარტიის წევრები და კანდიდატების შემადგენლობა.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1. ბიუროს პ. გ. მდივნის ამხ. ჩაჩანიძის მოხსენება სამი თვის მუშაობის შესახებ.

2. ბიუროს არჩევნები და 3. სამოქალაქო ორგანიზაციებზე მიმგრებულ ამხანაგების მოხსენებები.

ბიუროს მუშაობაზე მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი იმაზე, თუ როგორი ზომები უნდა იქნეს მიღებული, რომ ბევრად უფრო ნაყოფიერი იქნეს მუშაობა. კრებამ ამის შესახებ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიდაც მიზანშეწონილად მიაჩნია ასეულებში უჯრედების დაარსება. მისი საქმიანობა ბევრად უფრო ნაყოფიერი არის ვინემ აქამდე იყო.

ბიუროს მუშაობა კრებამ დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა, რადგანაც ის ფართე მუშაობას ეწევა უპარტიო მასაში.

შემდეგ კრებამ აირჩია ახალი შემადგენლობა.

კრებამ მოისმინა აგრეთვე მოხსენებები სამოქალაქო უჯრედებზე მიმაგრებულ ზოგიერთ ამხანაგების ხოლო დანარჩენების კი შემოსული წინადადებით, გადადებული იქნა შემდეგი კრებისათვის.

პარტკორი მ. კერესელიძე.

## მოუვლეთ სასადილოს.

1-ლ ცალკე მესანგრეთა ასეულში სადილის ჭამის დროს ერთობ დიდ უწესრიგობას აქვს ადგილი. ყოველთვის საჭირო არის, რომ სამზარეულოში სისუფთავე და წესრიგი ყველასათვის ერთნაირათ იყოს დაცული. საუბედუროთ ეს როდი ხდება. ხშირად არსებულ წესდებას თვით მეთაურები და და ექიმიც არღვევს. ეს გამოიხატება შემდეგში: სადილობის დროს ამხ. მეთაურები და ექიმიც სამზარეულოში მიირთმევენ სადილს. ეს არ არის წესიერი.

სამზარეულოში სადილის ჭამა, როგორც წ. არმიელებისათვის, აგრეთვე უფ-შემადგენლობისთვის დაუშვებელია. ამას ექიმიც უნდა უშლიდეს, თუ გვინდა რომ წესი და სისუფთავე იყოს დაცული.

საჭიროა სპეციალურად ცალკე სასადილო მოეწყოს ყველა მეთაურებისთვის, თორემ ასეთ უწესრიგობას ბოლო არ მოეღება.

პ. ფრანგიშვილი.

## მაინც არ მოეღო ბოლო.

2-რე ლეგიონი.

ერთ დროს ლეგიონის მოლაშქრეებ ძლიერ ცუდი ხარისხის—ცუდათ გამომცხვარ პურს გვირიგებდენ. თითქმის შეუძლებელი იყო მისი ჭამა.

მოულოდნელად პური კარგი გამომცხვარი დაგვირიგდა ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ქონდა, მაგრამ დიდ ხანს არ გაგრძელებულა ის. მესამე დღეს პური ისევ გაუცრელი, ცუდი, უმცხვარი და ნაწილობრივად დამწვარი, დატკეპნილი მოგვცეს.

როგორც შემდეგ გამოირკვა იმ დღეებში ქალაქში ჩამოსულა არმიის სარდალი და ამით ყოფილა გამოწვეული კარგი პურის დარიგება. ეს რას ნიშნავს? ვის ატყუილებს ჩვენი პურის მომწოდებელი? შეუძლებელია ასეთი პურით იკვებებოდეს მოლაშქრეები.

მიაქციეთ ყურადღება ვისაც ეს შეეხება და პასუხი აგებიეთ დამნაშავეს.

წ. არმ. გ. გურგენაძე.

## ბიბლიოთეკის გამგე არ გვიჭარბა.

2-რე ლეგიონი.

ჩვენი ბიბლიოთეკის გამგეს ევალება ლეგიონისთვის გაზეთების მიღება სადგურიდან და მათი დანაწილება ლეგიონის ნაწილებში. მიუხედავად ამ დავალებისა ბიბლიოთეკის გამგე ამხ. ჯანჯღავა და მისი თანაშემწე ნიკოლეიშვილი, სრულიად არ იწუხებენ თავს.

26 თებერვლიდან დაწყებული 17 მარტამდე თვალით არ გვინახავს გაზ. „წითელ არმიელი“. ამის მიზეზი კი ყოფილა ჩვენი ბიბმესვეურების დაუდევრობა. 15 დღის განმავლობაში დაგროვილი გაზეთები ჯანჯღავამ ერთად მოიტანა ლეგიონში, და დაყარა სამკითხველოში.

რამოდენიმე დღის განმავლობაში ეყარენ ისინი ბიბლიოთეკაში. რაღა ინტერესი უნდა ექნეს ძველ გაზეთების წაკითხვას და იგიც ერთად მოსულს.

ბიბლიოთეკის გამგემ თავის დროზე უნდა მოგვაწოდოს ლეგიონისთვის მოსული გაზეთები. ასეთი დაუდევრობა დაუშვებელია.

სამხკორი დაუნდობელი.

## ჩვენი მეცადინეობის შედეგები.

ქართულ მეთაურთა სკოლაში მეცადინეობის საზამთრო სეზონის პროგრამა დავამთავრეთ. გამოცდები დაიწყება 6 აპრილიდან.

სამწყობრო საქმე და წესდებები ჩინებულად შევისწავლეთ. მოეწყო შეჯიბრი სკოლის ასეულებსა და ოცეულებს შორის. შეჯიბრი გაიმართა, ხანგრძლივი რბენის შემდეგ მიზნების დაზიანებაში.

წესდებების, სროლის საქმესა და ტყვიამფრქვევების აღწერაში შეჯიბრი მოხდა კურსებს შორის.

გამარჯვებულებისათვის არის საჩუქრები: საათი, წესდებები, ყიბლანი და სხვა.

უნდა ითქვას რომ მეცადინეობის ლაბორატორიულმა სისტემამ მეტი ნაყოფი გამოიღო. გამოცდებს უშიშრად ვეგებებით. გამოცდების შემდეგ კურსანტები წავლენ თავთავიანთ სოფლებში ორ—ორი კვირით.

სოფლად შვებულებაში წასვლა ბევრს ავალებს ჩვენს კურსანტებს. ჩვენ უნდა გავაცნოთ გლეხებს საბჭოთა საერთაშორისო მდგომარეობას და მრავალი სხვა. უნდა აუხსნათ გლეხობას თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცაკის მესამე სესიის თბილისში მოწვევას და როგორი საკითხები იქნა მისგან გადაჭრილი და როგორ.

არა ნაკლები მუშობა გვმართებს სოფლის კომკავშირებში. ისინი უნდა ჩავაყენოთ მათი მიზნებისა და ახალი ამო-

ცანების კურსში, ჩავატაროთ მათთან მოხსენებები და გავაშუქოთ ჩვენი ყოფა ცხოვრება.

სოფლებს უნდა გავაცნოთ სხვა და სხვა დამხმარე საზოგადოებების მნიშვნელობა. დავაარსოთ ადგილებზე მათი უჯრედები და სხვა.

ყველა ამ საქმეების მოსაგვარებლად სკოლის პარტბიურომ და ახკომკავშირმა წინასწარ გამოყო ლექტორებისაგან კომისია და მუშავდება საჭირო თეზისები.

ეს თეზისები იქნება მუშაობისათვის სახელმძღვანელო გეგმა.

ამასთანავე სკოლის სამკითხველო გაუგზავნის სოფლის ქოხსამკითხველოებს ჟურნალ-გაზეთებს და სხვა.

სამხკორი **ჯაში.**

თავმჯდომარედ დანიშნულია მთავარ სარდალი დიაზე და კომისიის წევრებად კი მინისტრები: შინაგან საქმეთა, ფინანსების, ნაციონალურ ეკონომიის, ტრანსპორტისა და საჰაერო ნაოსნობის.

**ბელგია იძენს საზღვაო ფლოტს.**

იმპერიალისტურ ომამდე ბელგიას არ ყავდა სამხედრო საზღვაო ფლოტი. ვერსალის ხელშეკრულებით მან მიიღო გერმანიისაგან 14 ნაღმოსანი და ამ ჟამად ის ფიქრობს გააძლიეროს თავისი საზღვაო სამხედრო ფლოტი.

ამ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სპეციალურად მივლინებული საფრანგეთის მისია. გადაწყვეტილია ნაღმოსნებისაგან სამხედრო ფლოტის შედგენა. ამ მიზნით შესდგა 30 კაცისაგან სპეციალური კომისია.

შესახებ.

— **ექიმების მოთხოვნილება.** ჯანსახკომში ამ ჟამად დიდი მოთხოვნილებაა მაზრებიდან ექიმებზე.

— **ხის ჯიშები** მთელ საქართველოში მიწად-მოქმ. კომისარიატის ცნობით ითვლება 365 სხვა და სხვა ჯიშის ხეები.

— **ქალთა არტელები.** მშრომელ ქალთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელი განყოფილება ტფილისში აწყობს ხელზე მოსამსახურე და დამლაგებელ ქალთა არტელებს.

— **წარმოკავშირის ინსტრუქტორები.** წარმოკავშირმა გადასწყვიტა გაადიდოს რაიონულ ინსტრუქტორთა რიცხვი.

— **ვაზის წამლობა.** წარმოკავშირმა გადასწყვიტა, მიმდინარე წლის განმავლობაში დახარჯოს ვაზების წამლობაზე 285 ათასი მანეთი.

# ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲕᲐᲠᲗ ᲧᲝᲕᲔᲚᲛᲮᲠᲘᲕ. ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲐᲪ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ.

(მოდარაჯე გუნდი.)

თითქმის შვიდი კვირაა რაც ვიმყოფებით გრაკალის ხიდზე. მთელი ამ ხნის განმავლობაში არაფერი დაგვკლებია. ყოველ მხრივად დაკმაყოფილებული ვართ საჭირო საგნებით. უდისციპლინობას ჩვენს რიგებში ადგილი არა აქვს. თითეული მოლაშქრეს შეგნებული აქვს თავისი პასუხისმგებლობა და რკინისებური დისციპლინას იცავენ. გუნდში გვყავს მასწავლებელიც—პოლიტხელმძღვანელიც. ამ ჟამად ეს ამხანაგი ავად იმყოფება. მის მაგივრობას ასრულებს გუნდის უფროსი, რომელიც სისტემატიურად ატარებს ჩვენთან პოლიტსაუბრებს. მადლობას უცხადებთ ამხანაგს ასეთი ენერგიული მუშაობისათვის.

ლ. არმ. **თოდაძე.**

# საქმე წინ მიდის.

წითელ არმიელებმა გავიგეთ, რომ დღეს 5 აპრილს თბილისში იხსნება გლეხთა სახლე, სადაც ყველა მუშა მშრომელ გლეხს-წითელ არმიელების სოფლებიდან ჩამოსულ მშობლებს მიეცემა საშვალება გაათიონ იქ ღამე, და თან მოისმინონ მისთვის საჭირ-ბოროტო საკითხებზე რჩევა დარიგება და სხვა. მთელი ჩვენი არსებით მივესალმებით ამ დიად საქმეს.

გვიხარია, რომ საბჭოთა ხელისუფლება ასეთ დიდ ყურადღებას აქცევს დაჩაგვრულ ხალხს და ხელს უწყობს მის კულტურულად განვითარების საქმეს. გაუმარჯოს გლეხთა სასახლის დაარსების ინიციატორებს, გაუმარჯოს წითელ-საქართველოს.

წ. არმ. **ციუელაშვილი.**

# ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

**აფთიაქები სოფლად.** გორის აღმასკომმა დაადგინა მაზრაში გახსნილ საექიმო უჯრედებთან მოაწყოს პატარ-პატარა აფთიაქები.

**გლეხკომის დახმარება.** ს. მლაშეს გლეხკომმა (ახალც. მაზრა) უყიდა სოფ. ოსიეთის ღარიბ გლეხებს ხარები.

**კოოპერატივის მაგიერ.** ს. ურაველის გლეხკომმა გადასწყვიტა გახსნას ადგილობრივ (ახალც. მაზრა) საკუთარი სავაჭრო.

**გლეხების შუამდგომლობა.** სოფ. ძეგვისა და დოესის (გორის მაზრა) მცხოვრებლებმა აღძრეს შუამდგომლობა სამაზრო აღმასკომის წინაშე საექიმო პუნქტების გახსნის შესახებ.

**სათესლე სესხი.** გორის აღმასკომმა გადასწყვიტა სათესლე სესხი, რომელსაც ის მიიღებს სას.-სამ. ბანკიდან დაანაწილოს გლეხებს შორის საკრედიტო ამხანაგობების საშუალებით.

**წყალსადენის გაყვანა.** სოფ. კარალეთკარში (თელავის მაზრა) შეუდგენ წყალსადენის გაყვანას.

**სახლის დაწვა.** სამტრედიაში, 1-ლ აპრილს დაიწვა სეფაშვილის სახლი, რომელშიაც მოყვა მოხუცი ქალი და დაიწვა.

**ხორბლეულობის წამლობა.** სიღნაღის მაზრაში მოეწყო სათესლე ხორბლეულის საჩვენებელი წამლობა.

# სამხედრო ტრიბუნალი

2 აპრილს ქართულ სამხედრო ტრიბუნალმა ამხ. გაბუნიას თავმჯდომარეობით მხარეთა თანდასწრებით განიხილა საქმე ქართულ ცხენ. ლეგიონის საკავშირო ჯგუფის მესაკვების სერგო მიხეილის-ძის ხუდავერდოვის და საგარეჯოს მცხოვრებ იაკობ მიხეილის-ძის ხუციშვილის, რომელთაც ბრალდებოდა: პირველს სახაზინო ქონების მითვისება და მეორეს კი მისი შეძენა.

სასამართლოს ძიებით გამოირკვა შემდეგი, გ.წ. აგვისტოს ცხენოსან ლეგიონის საგარეჯოში ბანაკად ყოფნის დროს, ბრალდებული ხუდავერდოვი ეზიდებოდა სადგურიდგინ საგარეჯოში სახაზინო ქერს. გაზიდვის დროს ხუდავერდოვს დაუტოვებია სადგურის მახლობლად მდებარე მოვაჭრე ხუციშვილის დუქანში სამი ტომარა ქერი, ვითომდა მისი ჩვენებით, ფურგონზე მეტის დატევა შეუძლებელი იყო, მაგრამ მას შემდეგშიაც არ წაუღია დუქნიდგან ეს ქერი, მიუხედავად ხუციშვილის მიმართვისა, რომ ბრალდებულ ხუდავერდოვს წაეღო ის. გ. წ. 7 აგვისტოს სამხედრო კომისრის ჯანგველაძის მიღებულ ზომებით იქნა აღმოჩენილი ხუციშვილის დუქანში ხსენებული ქერი დაახლოვებით 8 ფუთამდე, რაზედაც იქნა შედგენილი სათანადო ოქმი. ბრალდებული ხუდავერდოვი იქნა მიცემული პასუხისგებაში. ის იძლეოდა სასამართლოს სხდომაზე არასწორ ჩვენებებს, რაც მოწმეების ჩვენებით დამტკიცდა. სასამართლოს სხდომაზე ვერ იქმნა დადასტურებული ის ფაქტი, რომ მოვაჭრე ხუციშვილს შეეძინოს მისგან სახაზინო ქერი. ამის გამო ბრალდებული ხუციშვილი გამართლებულ იქნა.

ბრალდებულ ხუდავერდოვს ტრიბუნალმა მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა გამოსწორებელ სახლში მოთავსებით ერთი წლის ვადით. თანახმად სრულიად საქართველოს ცაკის № 13 ამნისტიისა სასჯელი თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით შეუმცირდა ნახევრად.

**გნია.**

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ.

**ამხ. მეოთხე ლეგიონის ბიბგამგეს.** გაზეთი ღირს თვიურად 60 კაპ.

**ამხ. ჩიტიაშვილს.** „ლეგიონის მეთაურთა სკოლის ცხოვრების" შესახებ არ გავა. ასეთი უკვე დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

**ამხ. ქვისქვარელს.** პოლიტსკოლის ბიბგამგეზე მოწერილი წერილი არ გამოდგა. არ დაიბეჭდება.

პასუხისმგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე**

# უცხოეთის არმიებში

**ლატვიის არმიის შეიარაღება.**

ლატვიის მინისტრთა საბჭომ დაადგინა, შეიძინოს საფრანგეთში 18 „რენოს" სისტემის ჯავშნოსნები, თითეული ჯავშნოსანი შეიარაღებული იქნება ერთი 37 მილიმეტრიანი ქვემეხით და ერთი მძიმე ტყვიამფრქვევით. ასეთი სისტემის ექვსი მანქანით ლატვიის სახედრო უწყება აიარაღებს სამი ასეულისაგან შემდგარ თითეულ ბატალიონს.

**ავიაცია გერმანიაში.**

გერმანიის მთავრობამ მცირე ჰაეროპლანების კონკურსისთვის გადასდო 300,000 მარკა. კონკურსი მოხდება ივლისში. აპარატები განიყოფებიან სამ კატეგორიად, მოტორების სიძლიერის მიხედვით: 40, 80 და 120.

კონკურსზე დაშვებული იქნებიან აგრეთვე უცხოელების ჰაეროპლანებიც. გასაფრენ მანძილად მიღებულია 1000-6000 კილომეტრამდე.

**გერმანიის სამხედრო ბიუჯეტი.**

გერმანიის სამხედრო ბიუჯეტი 1925 წლისათვის (ფლოტის გარდა) განისაზღვრება 562 მილიონ ოქროს მარკით (225 მილიონი მანეთი). ამ თანხიდან 460 მილიონი დანიშნულია ჩვეულებრივი ხარჯებისათვის. განსაკუთრებული ხარჯებისათვის (ჯარის კაცებისათვის ჯამაგირების მომატების მიზნით) დანიშნულია 23 მილიონი მარკა.

ფრანგული ცნობების მიხედვით თითეულ 100.000 გერმანელ ჯარის კაცს შორის 34.499 არის მხოლოდ რიგის ჯარის კაცი. დანარჩენები კი უნცროსი და უფროსი მეთაურები არიან.

**სახელმწიფო თავდაცვის უზენაესი კომისია იტალიაში.**

იტალიაში უკვე გამოქვეყნდა სამეფო დეკრეტი სახელმწიფოს თავდაცვის მიზნით უზენაესი კომისიის დაარსების შესახებ.

კომისიის ამოცანებს შეადგენს, შეისწავლოს და მოაგვაროს სახელმწიფოს თავდაცვის საკითხები. კომისიასვე ევალება სახელმწიფოს მთელი ძალების დარაზმვა—ორგანიზაცია—თავდაცვის საჭიროებისათვის.

კომისიის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარედ ითვლება მუსოლინი, ვიცე თავმ-

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

— **პური ამიერ-კავკასიისათვის.** აპრილის შუა რიცხვებში ბათომში მოელიან 6 გემს დატვირთულს პურით და ხორბალით.

— **მეცხვარეობა საქართველოში.** საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დაადგინა გამოიკვლიოს და შეისწავლოს მეცხვარეობის საქმე საქართველოში.

— **მიწის კანონთა კრებული.** საქ. ცენტ. აღმ. კომიტეტმა (ცაკმა) დაადგინა შესცვალოს მიწის კანონთა კრებულის ზოგიერთი მუხლები.

— **ტფილისის ქალ. აღმასკომმა.** გადასწყვიტა გამოსცეს წიგნაკები ხანძართან ბრძოლის

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ.

## ᲕᲘᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ?

ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის № 3 კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომპარტიაში კანდიდატად შემოსვლის შესახებ შემდეგ ამხანაგებს.

1. გურაბანიძე პოლიკარტე ლეონტის-ძე. რაჭის მაზრის, სოფელ-ზემო-თლუხის.

2. აბრამიძე პავლე ივლიანის-ძე-ქუთაისის მაზრა სოფ. ვანი.

3. დანელია სერგო დათას-ძე. სენაკის მაზრა სოფ. ლეხაინდრაოში.

4. ფხაკაძე ბიქტორ ილიას-ძე.

ქუთაისის მაზრა, ქალაქ ქუთაისის მცხოვრები.

ყველა ამხ. უპარტიოებია.

თუ ვისმეს მოეპოება ამხ. კანდიდატად მიღების შესახებ, საწინააღმდეგო ცნობები, გთხოვთ მოგვაწოდოთ კომუჯრედის პრეზიდიუმს ორი კვირის განმავლობაში.

**ქართ. გაერ. მეთ. სკ.№ 3.კომუჯრედი.**

**მე-5-თე ქართულ ლეგიონის მე-9 რე ასეულის კომუჯრედში** განცხადება აქვთ შემოტანილი კომპარტიის კანდიდატებათ მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

**უნცროს მათაურები:**

1. **თევდორაძე** ვასილი პეტრეს-ძე

2. **ჯანყარაშვილი** ქრისტეფორე მალხაზის-ძე

**წითელ არმიელი:**

1. **სვანიშვილი** ვასილი.

თუ ვინმეს აქვთ რაიმე უარყოფითი ზემოაღნიშნულ ამხანაგების შესახებ გთხოვთ მოგვაწოდოთ ცნობები 10 დღის განმავლობაში **ქ. ბათომი ტფილისის ქუჩა № 41.**

პ. მგ. მდივანი: **მ. მექვაბიშვილი.**

**1. ქ. მ. დ. სამხედრო პოლიტსკოლის უჯრედში** შემოტანილია განცხადება ა. კ. კ. წევრის იოსებ მაღალაშვილის მისი პარტიის კანდიდატათ გადარიცხვის შესახებ. ვისაც აქვს რაიმე საწინააღმდეგო, გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში შემდეგი მისამართით:

ავლაბარი, სამხედრო პოლიტიკური სკოლა.

კომუჯრედის პ. მგ. მდივანი **მითაიშვილი.**

1-ლ ქ. მ. დ. ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება შემდეგ ამხანაგებს:

კომპარტიის კანდიდატს გიორგი სამსონის-ძე კეპულაძეს და კომკავშირის წევრს ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე გიორგაძეს. პირველი თხოულობს კომპარტიის წევრად დამტკიცებას და მეორე კი კომპარტიის კანდიდატათ გადაყვანას.

აღნიშნული უჯრედი გთხოვთ თუ ვინმემ რაიმესაწინააღმდეგო იცით მათ შესახებ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში წერილობით ან სიტყვიერად.

მისამართი: ქ. ტფილისი დავიდოვის ქუჩა№ 6. ცალკე საკავშირო ასეულის ყაზარმა.

კომუჯრედის პ. მ. მდივანი **ახალაშვილი.**

**ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ** პირადობის მოწმობა მოცემული ქუთაისის მილიციის სამმართველოდან მიხეილ სევასტის-ძე ლულაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

6. დ. ს. ც.

სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.